გოდერძი ტაბატაძე, გელა ლობჟანიძე

# ეკონომიკური მეცნიერება და რელიგია გლობალიზაციის პირობებში

*გოდერძი ტაბატაძე – ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი*
*გელა ლობჟანიძე – ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი*

გლობალიზაციის პერიოდში მეცნიერებასა და რელიგიას შორის დღეს არსებული ურთიერთმიმართება განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს.

გლობალიზაციის ეპოქაში, როდესაც ეროვნული საზღვრები იშლება, მსოფლიო მიდის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და ენობრივი ერთიანობისაკენ და, ბუნებრივია, ასეთი რთული და წინააღმდეგობრივი ფენომენი მრავალი თვალსაზრისით განსაკუთრებულად საყურადღებოა.

თანამედროვე მსოფლიოში არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია ერთმანეთისაგან იზოლირებულად არსებობა. გლობალიზაცია ქმნის ახალ პერსპექტივებს სხვადასხვა ქვეყნების, ერების ცივილიზაციათა და კულტურათა ურთიერთობისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გლობალიზაცია არის არა მხოლოდ ახალი ტექნოლოგიები, მეცნიერებისა და ტექნიკის მონაპოვართა დანერგვა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, არამედ სულიერი კულტურის სფეროში ახალი მწვავე პრობლემების გამომწვევი, იგი კაცობრიობის მომავალი ბედის გარკვევას მოითხოვს - ადამიანის, ინდივიდის, პიროვნების, და საბოლოო ჯამში, ეროვნული ცნობიერების, კულტურებისა და ერების თვითმყოფადობის არსის დაზუსტებას.

საზოგადოებრივი წარმოების მოთხოვნილებებმა წარმოშვა მეცნიერება და დააჩქარა მისი დამოუკიდებელი დისციპლინის სტატუსის მიღება, რასაც დაერთო ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და ინფორმაციული მეცნიერების თემატიკის გამიჯვნა, მეცნიერული საქმიანობის კონკრეტული კვლევის განვითარება [1. გვ. 417].

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან მეცნიერების მზარდმა ტემპებმა საზოგადოებრივი პროგრესის დაჩქარებაში მისი როლის ამაღლებამ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დიდი ძალა გამოავლინა, აღმოჩენების ეფექტიანი გაგრძელების, გამოგონების სრულყოფითა და ინოვაციებით. ამას საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაცია დაუკავშირდა, რასაც გლობალიზაცია დაერთო. მას რწმენისა და თვითდაჯერების უჩვეულო ძლიერი ძალა აქვს [1. გვ. 420].

ყოვლისმომცველი გლობალიზაციისა და ინტეგრაციული პროცესების შეფასებისას მნიშვნელოვანია მოვლენათა განვითარების გათვალისწინება ორი საპირისპირო მიმართულებით. მართალია, გლობალიზაცია ერთი მხრივ, აჩქარებს ეკონომიკურ განვითარებას, ხელს უწყობს მშვიდობის, დემოკრატიის განვითარებას და მთელი კაცობრიობის გაერთიანების გამყარებას, სადაც ვაჭრობა და ახალი ტექნოლოგიები, ფინანსური კაპიტალი, ინფორმაცია და ა.შ., ხელს უწყობს მრავალი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონების დაახლოებას; ანუ, გლობალიზაციას, მისი მართებული, რეგულირებადი წარმართვის შემთხვევაში, შეუძლია მნიშვნელოვანი დადებითი შედეგები მოუტანოს მსოფლიოს ხალხებს. მეორე მხრივ, გლობალიზაციას შეიძლება თან სდევდეს უმუშევრობის ზრდა, ინფლაცია, საზოგადოების სოციალური პოლარიზაციის პროცესის გაძლიერება, სუვერენული სახელმწიფოს ეკონომიკური საზღვრების რღვევა და მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც მთლიანობაში განაპირობებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობათა კრიზისებს; ანუ, გლობალიზაციას, მისი არამართებული და ქაოსური მიმდინარეობისა და განვითარების შემთხვევაში, შეუძლია ძალზე სერიოზული პრობლემები შეუქმნას კაცობრიობას.

გლობალიზებულ სამყაროში დემოკრატიის უზრუნველყოფა ერთ-ერთი უმთავრესი სიძნელეა XXI საუკუნის უსაფრთხოებისთან დაკავშირებით. საჭიროა, რომ ჩამოყალიბდეს საკაცობრიო ღირებულებათა ზნეობრივი ღერძი,

რომელიც ხელს შეუწყობს ცივილიზაციათა შორის დიალოგს.

ეკონომიკური გლობალიზაციის ჩარჩოებში ყურადსაღებია პროფ. იაკობ მესხიას დამაკვალიანებელი მსჯელობა რელიგიურ უსაფრთხოებაზე იმასთან დაკავშირებით, რომ „კაცობრიობის ხსნის ძირითად მიმართულებად მიჩნეულია მსოფლიო გლობალიზაციის პროცესის გაღრმავება და ერთიანი მსოფლიო მმართველობის შექმნა", – როდესაც შესაბამისი მოდელის ძირითადი მიზანია ერთპოლუსიანი სამყაროს შექმნა, რომლისაგან რელიგია, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი სოციალური ფენომენი განზე ვერ დადგება იმ პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების გამო, რომელიც აშფოთებს საზოგადოებას და არ შეუძლია ბრმად მიჰყვეს პროცესებს, რომლის დროს ეკონომიკური მექანიზმების გამოყენებით ხდება სულიერი სივრცის ნეგატიური ტრანსფორმაცია და ინტეგრირება [3. გვ. 110].

აღსანიშნავია, რომ მართლმადიდებლობისათვის დემოკრატიული საზოგადოების პრინციპები სრულიად მისაღებია და ადამიანთა თანასწორობის იდეა ქრისტიანობის კუთვნილებაა. ის ფასეულობანი, რომლებიც პატივს მიაგებს ადამიანის თავისუფლებას, ხელს უწყობს სამართლებრივი სახელმწიფოს შენებას და აღიარებენ სახელმწიფოსა და კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობას.

აკად. ივერი ფრანგიშვილის სტატიაში [4] რელიგიის საკვანძო კითხვებზე პასუხი გაცემულია იმ დონეზე, რომ მათი ფილოსოფიური ახსნა სარწმუნოა. თუმცა, აკად. ივერი ფრანგიშვილი აღნიშნულ სტატიაში ერთპოლუსიან გლობალიზაციაზე მსჯელობას არ ითვალისწინებდა. რელიგიური თვალსაზრისით ეკონომიკური გლობალიზაცია შეიძლება წინააღმდეგობრივი იყოს მაშინ, როდესაც გლობალიზაცია ისედაც დამახასიათებელია რელიგიის გავრცელებასთან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II აღნიშნავს, რომ „გლობალიზაცია არის გარდაუვალი მოვლენა და იგი უკავშირდება ტექნიკურ-მეცნიერულ პროგრესის განვითარებას. შეიძლება ითქვას, რომ მთელი მსოფლიო გახდა გლობალური. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დიდმა ქვეყნებმა უნდა შთანთქონ მცირე ქვეყნების კულტურული, სულიერი თუ ეროვნული ფასეულობანი, რათა შეიქმნას ერთიანი და უსახო კულტურა"; ამასთან, იგი აღნიშნავს, რომ ამ პროცესის ცალსახა შეფასება შეუძლებელია, აუცილებელია გარკვეული საკითხების სპეციფიკის გათვალისწინებაც: „როცა ცივილიზაციათა შორის დიალოგის შესახებ ვსაუბრობთ, ჩვენ, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ არა მარტო კულტურათა შორის დიალოგს, არამედ რელიგიებს შორის დიალოგსაც. ოღონდ ძალიან მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ამ დიალოგის დროს არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევეხოთ დოგმატიკას, ჩვენს მრწამსს, რელიგიის არსს. რადგან თუკი დავიწყებთ კამათს იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ესა თუ ის რელიგია, მაშინვე აღიმართება კედელი უშუალოდ ჩვენს შორის, რამაც შეიძლება კონფლიქტი გამოიწვიოს. ამიტომ ამგვარი საუბრების დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო"[5;9].

თანამედროვე ეკონომიკურ და საქმიან ურთიერთობებში მნიშვნელოვანია, რათა საერთაშორისო კორპორაციები ყველა დონეზე მორალური ნორმებიდან გამომდინარე ღებულობდნენ გადაწყვეტილებებს, რადგან ზნეობრივ ნორმებს დაქვემდებარებული პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა არის ორგანიზაციის წარმატების საწინდარი. ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში პიროვნების სწორი არჩევანის მოთხოვნები და მოქმედების შედეგები, საზოგადოებაში დადგენილი წესების შესაბამისობასთან მოყვანით, ჭეშმარიტად ასახულია ბიბლიაში, რელიგიურ-ეთიკურ კულტურასა და ქრისტიანულ-ფილოსოფიურ ნორმებში.

ამიტომაც, ბიზნესის წარმოებისა და მისი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის უმთავრესი და მნიშვნელოვანია ქრისტიანული ეთიკისა და მორალის ნორმების დაცვა. ადამიანში-პიროვნებაში ეს მორალი უნდა ჩამოყალიბდეს როგორც შინაგანი მოთხოვნილება, მისი განვითარების ყველა საფეხურზე.

გლობალიზაციის თანამედროვე პროცესებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ტრანსნაციონალურ კომპანიებსა და მსოფლიო ფინანსურ ცენტრებს, რომლებიც შეთანხმებული მოქმედებით, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში აქტიური მონაწილეობითა და მისი განვითარების ხელშეწყობით, ქმნიან რა საკუთარ საერთაშორისო საწარმოო კომპლექსებს, იძენენ სხვა ქვეყნების ეკონომიკურ სტრუქტურებში დამკვიდრების დამატებით შესაძლებლობებს. მათ შეუძლიათ თავიანთი ინტერესებისათვის გამოიყენონ ამ ქვეყნების ბუნებრივი, საწარმოო, ტექნოლოგიური, შრომითი რესურსები და საზღვარგარეთ უკვე არსებულ ვიწროსპეციალიზებულ საწარმოთა ბაზაზე გააღრმაონ შრომის შიდასაფირმო დანაწილება. მაღალგანვითარებული ქვეყნები, ტრანსნაციონალური კაპიტალ-

ის მეშვეობით ეფექტიანად იყენებენ რა გლობალიზაციის პროცესზე გავლენისა და საკუთარი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების დაცვის მექანიზმს, ხელს უწყობენ თავიანთი ტრანსნაციონალური კომპანიების განვითარებას და ისწრაფვიან თავს მოახვიონ თავიანთი მკაცრი პირობები და თამაშის წესები მიმღებ, ნაკლებადგანვითარებულ ქვეყნებს, რის გამოც ხშირად შედიან წინააღმდეგობაში ეროვნულ კაპიტალთან და შესაბამისად სახელმწიფოსთან.

გლობალიზაციის ძალზე რთული და სწრაფი პროცესების ზემოქმედებით მთელი რიგი სახელმწიფოები იძულებულნი ხდებიან ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკა წარმართონ საერთაშორისო კონკურენტულ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით; შესაბამისად ამისა, პატარა და სუსტად განვითარებული ქვეყნები კარგავენ ეკონომიკურ სუვერენიტეტს და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხარისხს. ამიტომ, ჩვენს ქვეყანაში გატარებულმა გონივრულმა სოციალურ-ეკონომიკურმა პოლიტიკამ უნდა გაანეიტრალოს გლობალიზაციის შესაძლო, მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები, შეინარჩუნოს, განავითაროს და განამტკიცოს ეროვნული ეკონომიკური თავისთავადობა (თვითმყოფადობა) და უსაფრთხოება.

გლობალიზაცია ერთპოლუსიანი მსოფლიოს ფორმირებისათვის წინა პლანზე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს წამოწევს. ეკონომიკური გლობალიზაცია მიზანმიმართულია საერთაშორისო პროცესების ერთობლივად წარმართვის რაციონალური დამკვიდრებისა და შრომის მწარმოებლურობის ამაღლებისათვის უახლოესი ტექნოლოგიების გამოყენებით და პროფესიული შემოქმედების გასაღრმავებლად. პოსტსაბჭოთა საქართველოში გლობალიზაციის ერთ-ერთ ძირითად მამოძრავებელ ძალას – საგარეო ვაჭრობა წარმოადგენს, ხოლო ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელს – მშპ-ის დამოკიდებულება საქონლის ექსპორტისა და იმპორტის სალდოსთან. ამ მხრივ, საორიენტაციოდ გამოდგება გლობალიზაციის დამახასიათებელ ნიშნებზე წარმოდგენის შექმნა ფუნქციური კავშირებით [6. ტომი 2. გვ. 405].

გლობალიზაციის პირობებში საქართველოს უსაფრთხო და მდგრადი განვითარების ძირითად პირობებად მიჩნეულია შემდეგი: ა) მოსახლეობის ერთ სულზე მოსული მშპ ნაკლები არ უნდა იყოს 8-10 ათას დოლარზე; ბ) სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აჭარბებდეს მშპ-ის 3-5%-ს; სახელმწიფო ვალი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ის 60%-ს; დ) საგარეო ვალის მომსახურებაზე გაწეული ხარჯები არ უნდა იყოს წლიური საექსპორტო შემოსავლების 20%-ზე მეტი და მთელი რიგი მაკროეკონომიკური მახასიათებლები, – რომელთა ნაწილი ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვნადაა დარღვეული და თვით სახელმწიფოებრიობას უქმნის რეალურ საფრთხეს, რადგან მას არსებულ ვითარებაში დაკარგული აქვს გაფართოებული ნორმალური კვლავწარმოებისა და თვითგანვითარების უნარი [2.გვ.335-336].

ჩვენს ქვეყანაში დღეისათვის არსებული სოციალურ-ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურული და ინტელექტუალური მდგომარეობა, მიუხედავად გატარებული მთელი რიგი რეფორმებისა, ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია და ხასიათდება მთელი რიგი ნეგატიური ტენდენციებით, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი: სახელმწიფო მართვის სტრუქტურების არასრულყოფილება და დაბალი ეფექტიანობის დონე, ეროვნული მიზნების, კულტურული მიღწევებისა და სახელმწიფო ინტერესების უგულებელყოფა ან კიდევ მათი მასობრივი შეცვლა უცხოური სუროგატებით, ეკონომიკური და სხვადასხვა სახის კრიზისების არსებობა, უმუშევრობის მაღალი დონე და მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც მთლიანობაში განაპირობებენ მორალურ–ზნეობრივი საფუძვლების შესუსტებას, ქვეყანაში სოციალური დაძაბულობის ზრდას და საზოგადოების სამართლიან ნეგატიურ განწყობას. ცნობილია და პრაქტიკით დადასტურებულია, რომ რაც უფრო სოციალურად დაძაბულია საზოგადოება, მით უფრო დაბალია ეკონომიკური განვითარების ტემპი და გართულებულია როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური წესრიგის დამყარება და სტაბილურობის მიღწევა [6.გვ.64–67].

ზემოაღნიშნულთან ერთად, შევნიშნავთ იმასაც, რომ გარდა ცალკეული შემთხვევებისა, საზოგადოებრივი აზროვნება ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა ეკონომიკური გლობალიზაციის სიკეთის გარკვევის მიმართულებით. ეს ძირითადად ეხება ორგანიზებული შრომის სიკეთეში გარკვევას, რომლის შედეგი მსოფლიო მეურნეობაა ვაჭრობისა და ინვესტიციების გათვალისწინებით; გააქტიურებული ცოდნის ეკონომიკაა, რომელიც განიხილება, როგორც მეცნიერების, განათლებისა და ტექნიკური პროგრესის გამაერთიანებელი [7. გვ. 22-30].

შესწავლილი მასალებიდან გამომდინარე მართალია, გაუმჯობესდა საქართველოს საერთაშორისო რეიტინგი შემდეგი მაჩვენებლებით, 2013 წელს – სუვერენული საკრედიტო რეიტინ-

გი BB –, სუვერენული სავალუტო რეიტინგი BB–, ტრანსფერისა და კონვერტაციის შეფასება BB, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით 21-ე მსოფლიო ადგილი (2005, 2011-2012 წლებში კი 93-ე, 29-ე და 34-ე ადგილი), 2009 წელს 4-ე მსოფლიო ადგილი და 52% საგადასახადო ტვირთისა და რეფორმების ინდექსის მიხედვით (2005-2007 წლების 58 და 72%-ის ნაცვლად); მსოფლიო ბანკის კვლევა აკეთე ბიზნესის მიხედვით 2013 წელს 9-ე და 2014 წელს 8-ე მსოფლიო ადგილი (2006, 2011 და 2012 წლებში კი 112-ე, 17-ე და 12-ე ადგილი); 2013 წელს 21-ე მსოფლიო ადგილი კორუფციის თავიდან აცილების ინდექსის მიხედვით (2012 წელს იყო 52-ე ადგილი). თუმცა, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ვითარება კვლავ წინააღმდეგობრივი რჩება მთელი რიგი საერთაშორისო ინდექსებისა და მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით, სახელდობრ: 2012 და 2010 წლებში ღია ბიუჯეტის (ბიუჯეტის ტრანსპარენტულობის) ინდექსის მიხედვით 55-ე ადგილი, მაშინ როცა 2006 და 2008 წლებში იყო 34-ე და 53-ე ადგილი.

2012 წლის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (world economic forum) რეიტინგში, სადაც სულ 144 ქვეყნაა შესული საქართველო 77-ე ადგილზეა. მავე რეიტინგიდან გამომდინარე, ინფრასტრუქტურის მიხედვით - საქართველო რეიტინგში 53 ადგილზეა, ინსტიტუციების მიხედვით - 61-ზე; მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით - 88-ე ადგილზეა; უმაღლესი განათლება და პროფესიული გადამზადება - 93-ე; სასაქონლო ბაზრის ეფექტურობა-82-ე; შრომითი ბაზრის ეფექტურობა-35-ე; ფინანსური ბაზრის განვითარება-93-ე; ტექნოლოგიური მზაობა - 76-ე; ბაზრის სიდიდე - 99-ე; ინოვაცია და განვითარების სექტორი - 120-ე; ბიზნესის განვითარება - 113-ე; ინოვაციის მიხედვით - 126-ე. 2013 წლის „გლობალური მშვიდობის ინდექსში“ 162 ქვეყანას შორის 2,51 ქულით საქართველო 139-ე. „გლობალური მშვიდობის ინდექსში“ საქართველო პირველად 2010 წელს მოხვდა და 149 ქვეყანას შორის 142-ე ადგილზე იყო, 2011 წელს -153 ქვეყანას შორის 134-ე ადგილზე, ხოლო 2012 წელს - 158 ქვეყანას შორის 141-ე ადგილზე. „გლობალური მშვიდობის ინდექსის“ მიხედვით, მსოფლიოს ყველაზე მშვიდობიანი ქვეყნები ისლანდია, დანია და ახალი ზელანდია არიან. ბოლო ადგილზე კი სომალია, რომელსაც ერთი საფეხურით უსწრებს ავღანეთი.

კვლევის მიხედვით, საქართველოში ბიზნესის საკეთებლად ხელის შემშლელი ფაქტორებია: დაფინანსების ხელმისაწვდომობა - 15,4 ქულა; კვალიფიკაციის შეუსაბამობა - 13,4; ინფლაცია - 11,1; მუშახელში სამუშაო ეთიკის ნაკლებობა - 10,2; გადასახადების რეგულაცია - 9,6; პოლიტიკური არასტაბილურობა - 9,5; ინფრასტრუქტურის არაადეკვატური უზრუნველყოფა- 7,8; გადასახადებეის სიდიდე - 6,0; სახელმწიფო არასტაბილურობა - 4,1; არაეფექტური სახელმწიფო ბიუროკრატია - 3,8; ცუდი საზოგადოებრივი ჯანდაცვა - 3,3; კორუფცია - 2,2; ამკრძალავი შრომითი რეგულაციები - 2,1; საგარეო ვალუტის რეგულაციები - 1,3; კრიმინალი და ქურდობა 0,1; რეიტინგს, როგორც გასულ წელს, წელსაც სათავეში უდგას შვეიცარია. ათეულში არიან: სინგაპური, ფინეთი, შვედეთი, ჰოლანდია, გერმანია, ამერიკის შეერთებული შტატები, ბრიტანეთი, ჰონგ-კონგი და იაპონია [14;15;16;17].

2013 წლის ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქციის (მშპ) მოცულობამ დაახლოებით 26.2 მლრდ ლარი, ანუ 15.9 მლრდ აშშ დოლარი და მოსახლეობის ერთ სულზე იმავე 2013 წელს 5818.1 ლარი ანუ 3523.4 აშშ დოლარი შეადგინა, მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებში ანალოგიური მაჩვენებელი, – მოსახლეობის ერთ სულზე მშპ დაახლოვებით 30 ათასი დოლარია. 2013 წლის 31 მარტის მდგომარეობით ქვეყნის მთლიანმა საგარეო ვალმა 13,4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი შიგა პროდუქტის 83,9 პროცენტია. იმავე 2012 წელს საქართველოში 911,6 მლნ აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა, რაც 18,4%-ით ნაკლებია 2011 წლის მონაცემზე. 2012 წელს ექსპორტმა 2,4 მლრდ აშშ დოლარი და იმპორტმა 7,8 მლრდ აშშ დოლარი შედგინა, მკვეთრად გაღრმავდა ქონებრივი დიფერენციაცია, რასაც მოყვა შემოსავლების უთანასწორო გადანაწილების უარყოფითი ტენდენცია და ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა საშუალო ფენა. სიღარიბის ზღვარს მიღმა აღმოჩნდა საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებიდან ირკვევა 2012 წელს რეგისტრირებული და ფარდობითი სიღარიბეა 9,7 და 22,4%. უმუშევრობის დონე კი, წინა წელთან შედარებით უმნიშვნელოდ გაიზარდა 0,1%-ით და შეადგინა 15,1% (დასაშვები დონე 7%), ხოლო, ინფლაციის საშუალო წლიური მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით შემცირდა და წინა წლებისაგან (2010-2011 წლებში 7,1 და 8,5%) განსხვავებით, პირველად, ზრდის უარყოფითი მაჩვენებელი დაფიქსირდა – 0,9%. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უმუშევრობის, ინფლაციის და სხვა ძირითადი მაკროეკონომიკური რეალური

მაჩვენებლები დათვლის მეთოდიკის არასრულყოფილების გამო ოფიციალურ სტატისტიკას საკმაოდ აღემტება[12;13;18].

გლობალიზაციის უარყოფითი შედეგების, მსოფლიო გლობალური კრიზისის თავიდან აცილების ან შერბილების მიზნით, საერთო ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ჩვენს ქვეყანაში პრიორიტეტული ადგილი მიეკუთვნოს ადგილობრივი რეალური სექტორის აღორძინება-გადარჩენა-განვითარებას, ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებას, სახელმწიფოს მხრიდან ისეთი მაკროეკონომიკური და ბიზნესგარემოს შექმნას ისეთი პროდუქციის საწარმოებლად, რომელიც დღეს-დღეისობით უცხოეთიდან შემოდის, ხოლო, იმპორტშემცვლელი საქონლისა და მომსახურების ადგილზე წარმოებისათვის საჭირო ბუნებრივი პირობები და სათანადო საკმაო ადგილობრივი რესურსები არსებობს. აღნიშნულის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია გააზრებული და თანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვა ინსტიტუციური რეფორმების დროში დამთხვევის გათვალისწინებით, ეროვნული ტრადიციების, ფასეულობებისა და ინტერესების მყარი სისტემის შექმნა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, ფინანსურ სტაბილურობას, მდგრადი და ეროვნული უსაფრთხო განვითარების უზრუნველყოფას, ქვეყნის ეკონომიკის დაჩქარებული განვითარებას და კონკურენტუნაიანობის გაძლიერებას, არსებული სიღარიბის დაძლევას და ამ მიზნით, ეროვნული წარმოებისა და საშინაო ბაზრის როლის ამაღლებას, ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობისა და რეგიონული განვითარების გათანაბრების დარეგულირებას, ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბებას, საექსპორტო პოტენციალის ამაღლებას, ტურიზმის განვითარებას, სოციალური და სამართლიანობის პრობლემების გადაწყვეტას, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას, კონსტიტუციური მოწყობის სრულყოფას, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა–შენარჩუნებას, ანტიმონოპოლიურ რეგულირებას, სტატისტიკური ინფორმაციის საიმედოობისა და გამჭირვალობის ხარისხის ამაღლებას, ეკონომიკური პროგნოზირებისა და პროგრამების პრაქტიკის დანერგვას და ა.შ.

ცხადია, რომ მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება გლობალიზაციის ფუნდამენტურ პრინციპებთან შეუთავსებლად და სამყაროსაგან იზოლირებულად შეუძლებელია, მაგრამ ამავე დროს საჭიროა შენარჩუნებული იქნეს ეროვნული ღირებულებები.

საქართველოსათვის აუცილებელია გარე სამყაროსთან კავშირი, რასაც გლობალიზაციაც მოითხოვს. მაგრამ ამისათვის აუცილებელია საერთაშორისო მაშტაბით კონკურენტუნარიანი პროდუქტების წარმოება და მისი გასაღების ახალი ბაზრების ძიება. მაღალტექნოლოგიური და მეცნიერტევადი წარმოების განვითარება, მდგრადი და უსაფრთხო სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის შექმნა.

აქედან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი სტრატეგიული მიზნების გათვალისწინებით, გლობალიზაციის პროცესში ჩართვა უნდა განხორციელდეს საკუთარი სახის და თვითმყოფადობის შენარჩუნებით. გლობალიზაციის პირობებში საქართველოს ეკონომიკას დასჭირდება დიდი ძალისხმევა ფეხი აუწყოს მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესს, ისე რომ შეინარჩუნოს მდგრადი და უსაფრთხო განვითარება, თვითმყოფადობა და ეროვნულობა.

სარწმუნოებისა და მეცნიერების დაკავშირების შესახებ წმინდა ილია მართლის ცნობილი მოძღვრება მარად უკვდავია და მისი გახსენება ყოველთვის საჭიროა: „ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურგებელნი არიან, მაგრამ ამ ორ სამფლობელოს შორის შემაერთებელი ხიდი არის სიბრძნე. გამეცნიერებული სარწმუნოება და გასარწმუნოებული მეცნიერება არის წყარო ერის მსახურებისა, ღვაწლისა, მადლისა და საქმისა, რადგანაც კაცთათვის მსახურება მსახურებაა ღვთისა“...[7].

რელიგია გვასწავლის, რომ გლობალიზაციას არ უნდა შევუშინდეთ და იგი ყოველმა ქვეყანამ სასიკეთოდ უნდა გამოიყენოს. საერთაშორისო და ეროვნულმა კანონმდებლობებმა კი ყოველ ქვეყანას თავისი საკუთარი თვითმყოფადობის შენარჩუნებაში უნდა შეუწყოს ხელი. ამასთან, ყურადსაღებია უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სიტყვები, – რომელიც აღნიშნავს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და კომპიუტერი (ინტერნეტი) „ახალ ნოყიერ ნიადაგს ქმნიან მსოფლიო კულტურათა და ცივილიზაციათა დიალოგისათვის“[5;9]; „...ჭეშმარიტ თავისუფლებას, რომელიც ზნეობრიობის საფუძველია, უაღრესად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, რადგან ნებისმიერი სახელმწიფო ამა თუ იმ მორალურ საზოგადოებას ემყარება. როგორც

ძველი სიბრძნე ამბობს, სახელმწიფოსათვის უმჯობესია, მის მოქალაქეებს ჰქონდეთ მაღალი ზნეობა, ... რადგან მაღალზნეობრივი საზოგადოება ძლიერი და განვითარებული სახელმწიფოს საწინდარია. დასავლეთის განვითარებული ქვეყნებიც სწორედ ამის გათვალისწინებით ქმნიან თავიანთ კანონმდებლობას და საზოგადოებრივი ცხოვრების წესს. ის, რომ მსოფლიოს ტრადიციული რელიგიებიდან ყველაზე უნიკალური ქრისტიანული სწავლებაა, იმითაც დასტურდება, რომ დღეს მთელ მსოფლიოში აღიარებული ადამიანთა უფლებების დეკლარაცია სწორედ ქრისტიანულ ღირებულებებზეა დაფუძნებული. ქრისტიანული ღირებულებები კი ყველაზე სრულყოფილი სახით მართლმადიდებლურ ეკლესიაშია დაცული, რადგან იგი ინახავს სამოციქულო ეკლესიის სწავლებას. მისი უნივერსალურობა ვლინდება იმაში, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას საუკუნეთა მანძილზე უცვალებელი მრწამსი და სწავლება აქვს, რომელიც ეფუძნება წმინდა წერილს, საღვთო გადმოცემას, მსოფლიო და ადგილობრივი საეკლესიო კრებების დადგენილებებს და წმიდა მამათა მოძღვრებას. ეს მის საყოველთაობას და უცდომელობას განაპირობებს. საერთოდ, სახელმწიფო უნდა განვითარდეს და მისი იდეოლოგიის განმსაზღვრელი უნდა იყოს არა გარე გეოპოლიტიკური ფაქტორები, არამედ ეროვნული ინტერესები“ [9].

ყოველი ადამიანისათვის ღმერთმა დაადგინა ამქვეყნიური და იმქვეყნიური ცხოვრების ეტაპები, ხანმოკლე მიწიერი ცხოვრება არის მზადება მომავალი საუკუნო სიცოცხლისათვის. აქედან გამომდინარეობს ადამიანის დანიშნულება და მისი ცხოვრების უმაღლესი ღვთივდადგენილი მიზანი, რომელიც გულისხმობს ამქვეყნიური ცხოველქმედებით ნივთიერი და არანივთიერი დოვლათი, საზოგადოებრივი წარმოებისა და ეკონომიკური განვითარების პროცესში ზნეობრივი კანონებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით შექმნას, რაც თავის მხრივ, ცათა სასუფეველში ადამიანის სულის შესვლას და საუკუნო ნეტარებას უზრუნველყოფს, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი უგულვებელყოფა ადამიანის სულის წარწყმედას გამოიწვევს. ამიტომ, ადამიანმა, მისთვის ღვთივბოძებული თავისუფალი ნების, გონიერებისა და მაღალზნეობრიობის მეშვეობით უნდა წარმართოს ისეთი ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს მისი სულიერი და მატერიალური მოთხოვნილებების ღმერთისათვის მისაღებ ურთიერთშეხამებას. აქ მნიშვნელოვანია მოხდეს ადამიანისა და ღვთის ნების შეერთება – სინერგია, რაც არის საფუძველი პიროვნების, ერისა და სახელმწიფოს გადარჩენისა და ადამიანის ცხონებისა. საქართველოში ყოფილა ისეთი ბედნიერი ხანა, როგორიცაა წმინდა დავით აღმაშენებლის, წმინდა თამარ მეფის მეფობის წლები. ჩვენ ამ პერიოდს ოქროს ხანას ვუწოდებთ, რადგან სწორედ მაშინ მოხდა სინერგია, – ღვთისა და ადამიანის ენერგიის შერწყმა და გამთლიანება.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ჩიქავა ლ., ინოვაციური ეკონომიკა. „სიახლე“, თბილისი, 2006;
2. აბრალავა ა., ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია, თბილისი, „ინოვაცია“, 2005;
3. მესხია ი., რელიგიური უსაფრთხოება მსოფლიო ეკონომიკური გლობალიზაციის ჩარჩოებში. საერთაშორისო კონფერენცია „რელიგია და საზოგადოება – რწმენა ჩვენს ცხოვრებაში, თბილისი, „უდაბნო”, 2004 წელი;
4. ფრანგიშვილი ი., მეცნიერებისა და რელიგიის, ცოდნისა და რწმენის სისტემური ურთიერთობანი, პირველი საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, თბილისი, 2005;
5. უწმინდესისა და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II, სინერგია – ღვთისა და ადამიანის ენერგიის შერწყმა და გამთლიანება. ჟურნალი „კრიალოსანი”. №3(49);
6. საერთაშორისო სამეცნიერ-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, - „ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია”, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 2012, ტომი 1 და ტომი 2;
7. სარჩიმელია რ., ჩარექიშვილი ლ., ცოდნის ეკონომიკა როგორც მეცნიერების, განათლებისა და ტექნიკური პროგრესის გამაერთიანებელი. ჟურნ. „ეკონომისტი”, №6, 2010;
8. სიბრძნის ხიდი მეცნიერებასა და სარწმუნოებას შორის, თბილისი, 2002, გვ.12;
9. უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II, სიტყვანი, ქადაგებანი, თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, წიგნი II, 1997 და წიგნი III, 2008;

10. Белорус О. Г., Майценко Ю. М., Глобалъное устойчивое развитие, Киев, «КНЭУ», 2006;
11. Goldin, Ian. Reinert, Kenneth. Globalization for development: Trade, finance, aid, migration, a. policy.Washington. World Bank: Macmilan. 2006.
12. http://www.economy.ge/ge/economic-data
13. http://www.geostat.ge/
14. http://www.interpressnews.ge/ge/ekonomika/212518-msoflio-ekonomikur-forumis-reitingshi-saqarthvelo-77-e-adgilzea.html, saqartvelo
15. http://www.ambebi.ge/sazogadoeba/79790-qglobaluri-mshvidobis-indeqsisq-yoveltsliur-angarishshi-saqarthvelo-139-e-adgilzea.html#ixzz2W0I5eLC4
16. http://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=2184
17. http://www.parliament.ge/files/budget-off/rating-inner-borders-ge.pdf
18. http://www.parliament.ge/files/budget-off/statist-ge.pdf

## ЭКОНОМИЧЕСКАЯ НАУКА И РЕЛИГИЯ В УСЛОВИЯХ ГЛОБАЛИЗАЦИИ

***ГОДЕРДЗИ ТАБАТАДЗЕ - Доктор экономических наук, Профессор***
***ГЕЛА ЛОБЖАНИДЗЕ - Доктор экономических наук, Профессор***

В работе рассматриваются отношения между наукой и религией в условиях глобализации, которая приобретает особую актуальность на современном этапе.

Особое внимание при этом уделяется анализу состояния связанных с глобализации таких особенно важных, сложных и спорных вопросов, как: разложение национальных границ, устремление к политическим, экономическим, культурным и языковым единству.

В современном мире ни одна страна не может существовать в отрыве друг от друга. Глобализация создает новые перспективы для отношения разных стран, культур, народов и цивилизаций. Таким образом, человек присужденной ему от Бога свободную волю, через мудрость и высокий моральный дух должень осуществлят такую экономическую деятельность, которая обеспечивает приемлемой для Бога совместимость духовных и материальных потребностей. Здесь важно, чтобы обеспечывать слияние волю Бога и человека – синергия, которая является основой спасения для человека, нации и государство.

## ECONOMIC SCIENCE AND RELIGION IN THE CONDITIONS OF GLOBALIZATION

***GODERDZI TABATADZE - Doctor of Economic Sciences, Professor***
***GELA LOBJANIDZE - Doctor of Economic Sciences, Professor***

The paper discusses the relationship between science and relgion in the condition of globalization, which is particularly acute today.

Particular attention is paid to the disturbance of the national borders, when the world goes to the political, economic, cultural and linguistic unite. That's why such phenomenon is very complex and controversial and therefore important.

In the modern world, no country can exist in isolation from each other. Globalization creates new perspectives of relationship amoung different countries, cultures, nations and civilizations. But people has given by God his free will, and he with high morale and prudence must direct such economic activity, that provides the spiritual and material needs in reciprocal compatibility acceptable to God. It is important to be mergers human and divine will - synergy, which is the basis for the survival of the individual, nation and govermant and human salvation.